# ხელშეკრულება №80

ქ. ნინოწმინდა 12 ივლისი 2013 წ

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის სოშბატ კორელიანის სახით, მისამართი ქ. ნინოწმინდა პუშკინის ქ. №43 შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ი/მ - რაზმიკ დემჩიან", მისამართი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დონდრიო , შემდგომში „მიმწოდებელი“ შეთანხმდით შემდეგზე

1. ხელშეკრულების ობიექტი

**1.1 სოფ. დილიფის რიტუალური სახლში ელექტროენერგიის და გაზის გაყვანა 2013წ**

2. სამუშაოების ღირებულება

2.1 საორიენტირო თანხობრივი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2000,00 ლარს

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს/შემსყიდველის მიერ შექმნილ კომისია/ უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ასევე გაატაროს პერიოდული ინსპექტირება სამუშაოს სახით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის /ინსპექტირების/ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1 ხელშეკრულების დადების შემდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობით არანაკლებ 70% -ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებლისათვის განხორციელდება ლარებში.

7.2 ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია გადაურიცხოს მიმწოდებელს საავანსო ანგარიშზე პროექტის საერთო ღირებულების 70 %, ხოლო 30% სამუშაოს დასრულების და მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი ვალდებულებები სხვა პირებს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლების გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაშიაც, ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა/ თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაო.

ბ/ თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე

ა/ თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მასთან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

ბ/ მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

გ/ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს შესრულების შეჩერება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორული ნიშნავს მხარეებისათვის შეუძლებელია და დაუძლეველობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, სახელმწიფო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15 სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით დაარეგულირონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის თარიღიდან 2013 წლის 30 სექტემბრამდე

17 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| "ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო", მდებარე: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქუჩა, №43, | ი/მ „რაზმიკ ღუმაშიან" მდებარე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. პ. გონდრიო |
| საიდენტიფ. კოდი: 236689669 | საიდენტიფ. კოდი: 32001006038 |
| ბანკი: სს"ლიბერთი ბანკი" ქ.ნინოწმინდა<br>კოდი: 220101494<br>ა/ა: GE51LB0120146252122000 | ბანკი: სს"პრივატ ბანკი" , ქ.ნინოწმინდა<br>კოდი: 220101702<br>ა/ა: GE7TP0036010070003139 |
| მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე<br>სუმბატ კიურეღიან | მიმწოდებელი რაზმიკ ღუმაშიან |